603Ш/10037

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 მარტი, კვირა, 1987 წ.
№ 42 (9453) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ელვა-ინფორმაცია

გუშინ ლესელიძეში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა, რომლებიც აქ განაგრძობენ საკავშირო ჩემპიონატისათვის მზადებას, საკონტროლო მატჩი გამართეს მოსკოვის „ტორპედოსთან". შეხვედრის 65-ე წუთზე 11-მეტრიანით გოლი გაიტანა ტორპედოელმა გრეჩნევმა. თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე გოლი გაქვითა კაკილაშვილმა — 1:1. „დინამოს" შემადგენლობა: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, ცაავა (მიქაშავიძე, 72), კაკილაშვილი, ხვანძე, სულაქველიძე, კორძალიძე (ქეცბა, 72), ჩელებაძე, რევიშვილი.

დუბლშემადგენლობათა ასპარეზობა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 2:1. ორივე ბურთი თბილისელმა შენგელიამ გაიტანა.

„ლელოს" კორ. ტელეფონით.

ქართული ჭიდაობის მოყვარულები კვლავ დაძაბული ორთაბრძოლების მოწმენი გახდნენ. გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკის არენაზე ჩატარდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის სპორტსახკომისა და „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით ორგანიზებული ასპარეზობა — ქალაქების, უბნებისა და სოფლების მორიგი შეჯიბრება. კასპის რაიონის ხოფელ ხოვლეს და გლდანის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს კასპელებმა — 6:3, ხანიორეს (თელავი) ფალავნები დამარცხდნენ ძველი რუსთავის წარმომადგენლებთან — 3:6, გორის ციხისუბნის გუნდმა სძლია ორთაჭალის ფალავნებს — 6:3.

რეპლიკა

რატომ მოვიძულეთ რეკორდები?

ვინდა მკითხველის ყურადღება რეკორდებზე გავამახვილოთ. ტრადიციას, მოდით, ნურც ჩვენ ვუღალატებთ და ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა ამოვიკითხოთ ლექსიკონში. რეკორდი უცხოური, ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს უმაღლეს, საუკეთესო შედეგს რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში.

ახლა პირდაპირ სათქმელზე გადავიდეთ. იყო დრო, რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში საქართველოს რეკორდი საპატიო მიღწევად ითვლებოდა და საქართველოს რეკორდსმენიც ღირსეულ პატივს იმსახურებდა. რეკორდსმენით ამაყობდა სპორტული საზოგადოება, კოლექტივი თუ რეგიონი, რომლის წარმომადგენელიც სპორტსმენი იყო. მერე და მერე რატომღაც რესპუბლიკის რეკორდებისა და რეკორდსმენებისადმი ინტერესი განელდა. მიზეზი ალბათ უფრო ის გახლდათ, რომ სპორტული ოსტატობის ზრდამ — მხედველობაში გვაქვს საერთო მიღწევები — აშკარად გაუსწრო რესპუბლიკურ რეკორდებს და ზღვარმა ძალიან შორს გადაიწია, გავიხსენოთ რამდენჯერ ყოფილა საქართველოს რეკორდსმენი საკავშირო შეჯიბრებაში, სადაც მან ეს რეკორდი დაამყარა (მაგალითად, ცურვაში ან მძლეოსნობაში) ათეულშიც კი ვერ მოხვედრილა. მაგრამ განა ეს უფლებას გვაძლევს უგულოდ და უყურადღებოდ მოვეკიდოთ რესპუბლიკის რეკორდებს? როცა ამ რეპლიკას ვამზადებდით, სპორტულ საზოგადოებებს და უწყებებს, ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებს დავუკავშირდით, სპორტულ ბაზებზეც შევიარეთ. ყველგან ერთი და იგივე სურათია: რეკორდების ცხრილი, ოდესღაც თვალსაჩინო ადგილზე რომ აკრავდნენ, ახლა ან საერთოდ აღარავის ახსოვს, ან ძველია, შემორჩენილი. მხოლოდ პროფკავშირების მძლეოსნობის სასახლეში, ვაკის და ხანაპიროს აუზებზე არ დავიწყებიათ, რომ რეკორდებიც სპორტის წინსვლისთვის უნდა გამოვიყენოთ.

რეკორდების ცხრილების შედგენა და თვალსაჩინოდ გამოფენა, ცხადია, თვითმიზანი არ არის. რა უნდა იყოს უპირველესი ორიენტირი ახალბედა სპორტსმენისათვის, თუ არა რესპუბლიკის რეკორდი? ადვილი წარმოსადგენია მოზარდის განწყობილება, როცა ყოველი ვარჯიშის წინ თუ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ თვალს შეავლებს რესპუბლიკის რეკორდების ცხრილს და თავის პირად შედეგს შეადარებს. ანდა, განა სპორტულმა საზოგადოებამ და უწყებამ, ქალაქმა და რაიონმა, კოლექტივმა, სპორტსმენებმა არ უნდა იცოდნენ, რესპუბლიკას რამდენი რეკორდსმენი ჰყავს და როგორია მიღწევები, როგორია ამ მიღწევებში მათი წარმომადგენლების წვლილი?

უნდა იცოდნენ. რეკორდების ცხრილიც აღგვიძრავს ფიქრს, უფრო ნათლად გაგვარკვევს, რა დონეს მივაღწიეთ საკავშირო და საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით.

ა. კარპოვ — ა. სოკოლოვის სუპერფინალი

მეორე პარტია

როგორც იცით, ესპანეთის ქალაქ ლინარესში მიმდინარე პრეტენდენტ ვაჟთა სუპერფინალის მეორე პარტია დაახლოებით თანაბარ პოზიციაში იყო გადადებული, ის კი არადა, ანდრეი სოკოლოვმა ერთ მომენტში ყაიმიც კი შესთავაზა მეტოქეს, მაგრამ თურმე ანატოლი კარპოვმა სწორად განსაზღვრა, როცა შემოთავაზებული წინადადება არ მიიღო. იგი უთუოდ გრძნობდა, რომ ენდშპილში მისი კუ უფრო დიდ სამუშაოს შეასრულებდა, ვიდრე სოკოლოვის მხედარი. მართლაც ასე მოხდა, თეთრების კუმ ფართო სამოქმედო ასპარეზი მიიღო და როცა პაიკის მოგებით დაემუქრა შავებს, სოკოლოვმა საათი გააჩერა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოკოლოვმაც ვერ ითამაშა რიგიანად. მაგალითად, დიდოსტატ სუეტინის აზრით, სოკოლოვმა პირველი შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა მხედარი b7 უჯრაზე გადაიყვანა, ხოლო შემდეგი არასწორი სვლა a5 გახლდათ. ასეა თუ ისე, მსოფლიოს ექსჩემპიონმა მართლაც დიდოსტატურად წარმართა ბრძოლა ენდშპილში და ღირსეული გამარჯვება მოიპოვა. ორი პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 1,5:0,5 ანატოლი კარპოვის სასარგებლოდ.

აი, ამ პოზიციაში იყო გადადებული პარტია:



თამაში ასე გაგრძელდა:

41. ...მ:f5 (ჩაწერილი სვლა) 42. e4 de 43. fe მd6 44. მფd3 მb7 45. b4 a5 46. მფc4 ab 47. კ:b4 მფc6 48. კf8 g6 49. კe7 მa5+ 50. მფb4 მb7 51. მფc4 მa5+ 52. მფc3 მb7 53. მფd4 მფd7 54. კ:f6 მფe6 55. კg7 მc5 56. მფc4 მ:e4 57. მფb5 მc5 58. კf8 მd7 59. კa3 მფd5 60. კe7 მფd4 61. კd8. შავები დანებდნენ.

მძლეოსანთა ახალი სტარტები

ეს სიახლე ყველას დააინტერესებს: ამიერიდან თბილისის „დინამოს" სტადიონზე უმაღლესი ლიგის გუნდების საფეხბურთო მატჩების დღეებში ჩატარდება მძლეოსანთა შეჯიბრებებიც. ეს ღონისძიება შინაარსიანად შეავსებს მატჩამდე და ტაიმებს შორის თავისუფალ დროს; რესპუბლიკის მძლეოსნები მრავალრიცხოვანი მაყურებლის თვალწინ ჩააბარებენ სიმწიფის გამოცდას. გთავაზობთ ინტერვიუს სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსთან **ტარიელ ბახტაძესთან.**

● **თავდაპირველად ალბათ ის უნდა ვთქვათ, ეს შეჯიბრებები ოფიციალური იქნება თუ საჩვენებელი და ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას.**

— შეჯიბრება ოფიციალურია, რესპუბლიკური, ეს არის საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც 1970-1973 წლებში დაბადებული ჭაბუკები და ქალიშვილები იასპარეზებენ. დებულებით, სარბიელზე გამოვლენ რესპუბლიკის 64 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები. ასპარეზობა ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს ეძღვნება.

● **როგორც ჩანს, მასობრიობით მძლეოსანთა ეს ასპარეზობა უპრეცედენტოა. რა სისტემით გაიმართება შეჯიბრებები?**

— 64 გუნდი რვა ქვეჯგუფად დავყავით, თითოეულში რვა კოლექტივი შევა. ასე რომ, რვა გუნდი ფეხბურთში პირველ რვა კალენდარული მატჩის დღეებში იასპარეზებს „დინამოს" სტადიონზე. შემდეგ ეტაპზე ოთხ-ოთხი უძლიერესი კოლექტივი გავა. აქ უკვე წილისყრით შეიქმნება ოთხი ქვეჯგუფი, რომლებშიც რვა-რვა გუნდი გაერთია-

იხ. მე.2 გვ.



პედაგოგი გზას ულოცავს

თბილისის 150-ე საშუალო სკოლის სპორტდარბაზი. ფიზკულტურის მასწავლებელი, სპორტის ოსტატი, სახალხო განათლების წარჩინებული ეთერ ხახუბია მეოთხეკლასელებთან ღია გაკვეთილს ატარებს. გაკვეთილს სპეციალისტებთან ერთად საქართველოში ფიზიკური აღზრდის ამაგდარი მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გიორგი მერკვილაძეც ესწრება.

ახალ სასწავლო წელს ეს რიგით მეშვიდე ღია გაკვეთილია. გაკვეთილი მოსაწყენი რომ არ იყოს, პედაგოგი მათ უჩვენებს მიმბაძვე-

იხ. მე-2 გვ.

უნივერსიადის პანორამა

SVETOVÁ ZIMNÍ UNIVERZIADA F.I.S.U. TATRY 1987 ČESKOSLOVENSKO

ტატრები. სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშებში დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მოთხილამურეთა ესტაფეტა 4X10 კილომეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ნ. გერასიმოვი, დ. სოლოვიოვი, ი. ტეპანი და ვ. ნიკიტინი. შეჯიბრების მასპინძლებს მეორე ადგილი ხვდათ.

სამაგიეროდ ჩეხებმა თავი გამოიჩინეს ტრამპლინიდან ხტომაში. ამ ქვეყნის გუნდმა საგრძნობლად გაუსწრო გდრ-ისა და იუგოსლავიის ძლიერ კოლექტივებს. საბჭოთა ნაკრები მეოთხე ადგილზე დარჩა.

დაიწყო ფიგურისტთა შეჯიბრება. ქალთა შორის უნივერსიადის ჩემპიონი გახდა სვერდლოვსკელი სტუდენტი ლარისა ზამოტინა, წყვილთა სრიალში საბჭოთა სპორტსმენებმა ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს (შესაბამისად ე. კვიტჩენკო — რ. კადრიკაევისა და ე. ბეჩკე — ვ. კორნიენკოს წყვილებმა).

ელვა-ინფორმაცია

ბრატისლავაში, ევროპის იუნიორთა შეჯიბრებაში, შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა ნინო სალუქვაძემ. იგი უძლიერესი იყო პნევმატური პისტოლეტით სროლაში — 380 ქულა. ვაჟთა შორის ყველას აჯობა მარხიანო ესკრიშმა (საფრანგეთი) — 580.

პნევმატური შაშხანით სროლაში ევროპის რეკორდი დაამყარა საბჭოთა სპორტსმენმა გალინა ჩურკინამ — 391. ამ სახეობაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ჰანეს ხირშფოგელი (გფრ) — 586.

მძლეოსანთა ახალი სტარტები

(დასასრული)

ნდება. ისინი საფეხბურთო ჩემპიონატის რიგით მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კალენდარული მატჩების დღეებში გამოვლენ მაყურებლის წინაშე. წილისყრის შედეგებს და იმას, თუ ვინ რომელ დღეს იასპარეზებს, ცხადია, მოგვიანებით შევიტყობთ.

● **ამ სისტემით, როგორც ჩანს, ნახევარფინალამდე და ფინალამდე მივალთ...**

— სწორედ ასეა განსაზღვრული. წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ოთხ-ოთხი გუნდი ნახევარფინალურ ჯგუფს შექმნის. მათგან წილისყრით შედგება ორი ნახევარფინალური ჯგუფი, რომელთაგან თითოეულში რვა გუნდი იქნება. ისინი უკვე მე-13 და მე-14 კალენდარული მატჩების დღეებში იასპარეზებენ. ფინალური შეხვედრა მოეწყობა მე-15 კალენდარული მატჩის დღეს. აქ უკვე საქართველოს თასის მოსაპოვებლად რვა რჩეული კოლექტივი იასპარეზებს.

● **პროგრამაზე არაფერი გვითქვამს...**

— ფინალურ ეტაპზე ვაჟებისა და ქალებისთვის პროგრამა იგივეა: რბენა 60, 100, 400 და 1000 მეტრზე, გამორბენით სიგრძეზე ხტომა, ბირთვის კვრა (ვაჟებისთვის — 6 კგ, ქალებისთვის — 4). 60 და 100 მეტრზე რბენის გარდა ყოველი პროგრამით თითოეული გუნდიდან სარბიელზე გამოვა თითო მონაწილე, ამასთან სპორტსმენს პროგრამის ერთ სახეობაში ასპარეზობის უფლება აქვს, სპრინტერებისთვის კი ნებადართულია 60 და 100 მეტრზე შეჯიბრებაში მონაწილეობა.

აქვე ჩათვლის სისტემებზეც ვიტყვი: გუნდურ ჩათვლაში შედის სრული პროგრამა, I ადგილი — 1 ქულა, II (2), III (3) და ა. შ. თუ გუნდი შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მიიღებს, დაერიცხება 30 საჯარიმო ქულა. კოლექტივი, რომელიც შეჯიბრებას გამოეთიშება, ქულას ვერ დაიმსახურებს, მიეკუთვნება ბოლო ადგილი და დაერიცხება 10 საჯარიმო ქულა.

● **რაკი ყველაფერი გაირკვა, კოლექტივებს ალბათ შეჯიბრებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხიც დააინტერესებს.**

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ შეჯიბრებები თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყება მატჩამდე ორი საათით ადრე და დამთავრდება ტაიმებს შორის შესვენებაზე. თითოეულ გუნდში უნდა იყოს ათი სპორტსმენი და ერთი წარმომადგენელი. სამივლინებო, აგრეთვე შეჯიბრებისწინა ხუთდღიანი შეკრების ხარჯებს ადგილობრივი სპორტკომიტეტები გაიღებენ. ყოველ გუნდს უნდა ჰქონდეს ერთიანი სპორტული ფორმა. ასპარეზობის დაფინანსება დავალებული აქვს რესპუბლიკის სპორტსახკომის მძლეოსნობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლას, საერთო ხელმძღვანელობას კი მას სპორტსახკომი უწევს. შეჯიბრების ყველა მონაწილემ მსაჯთა კოლეგიას პირადად უნდა წარუდგინოს დაბადების მოწმობის დედანი და სურათით დამოწმებული ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

● **და ბოლოს ალბათ საინტერესო იქნება მკითხველს ვაცნობოთ, ვინ იასპარეზებს ჩვენი მთავარი სტადიონის მძლეოსნურ ბილიკებზე და სექტორებში, ვინ გამოვა სარბიელზე 10 მარტს, ფეხბურთში 50-ე საიუბილეო ჩემპიონატის გახსნის დღეს.**

— ამ დღეს მაყურებელი იხილავს თბილისის საქარხნო რაიონის, გარდაბნის, გაგრის, ქობულეთის, წყალტუბოს, ხაშურის, მცხეთისა და წითელი წყაროს წარმომადგენლებს. 13 მარტს იასპარეზებენ თბილისის 26 კომისრის, ქუთაისის საქარხნო, ჩოხატაურის, გორის, თეთრი წყაროს, სიღნაღის რაიონების, აგრეთვე ბათუმისა და რუსთავის მძლეოსნები.

წყალბურთი

რვა გუნდის მონაწილეობით

ბზერ უკვე თორმეტი წელია, რაც ლვოვში წყალბურთელ მოსწავლეთა საკავშირო ტურნირი ტარდება. მორიგ შეჯიბრებაში, რომელიც ახლახან გაიმართა, რვა გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყო საქართველოს განათლების სამინისტროს ნაკრები, რომელმაც დაამარცხა უზბეკეთის (14:10), მოლდავეთის (13:9), ყაზახეთის (7:6), მოსკოვისა (13:10) და ლენინგრადის (10:7) გუნდები, უკრაინის წარმომადგენლებთან დამარცხდა (5:7) და ტაჯიკეთის ნაკრებთან ფრედ (10:10) დაამთავრა შეხვედრა. საბოლოოდ საქართველოსა და უკრაინის გუნდებმა ყველაზე მეტი — 11-11 ქულა მოაგროვეს, მაგრამ მიღებული და გატანილი ბურთების უკეთესი ბალანსი უკრაინელებს აღმოაჩნდათ და I ადგილიც მათ მიაკუთვნეს.

ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ: მავრიდ პოსოხოვი, გიორგი გზირიშვილი, გიორგი გონაძე, ოთარ პატარიძე, ვლადიმერ ჩითინაშვილი, გიორგი მახარაძე, დავით ბურდული, ირაკლი ტატიშვილი, ზვიად დავითიანი, გიორგი გრიგოლია, ბაკური ცხომელიძე და აკაკი სურგულაძე. გუნდის უფროსი მწვრთნელია გივი ხუროშვილი, მწვრთნელი — ჯემალ კინწურაშვილი.

რევანში ერთი წლის შემდეგ

ეს შეჯიბრება თბილისის კალათბურთელ ვაჟთა გუნდებმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს მიუძღვნეს. ტურნირი, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა, ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. გადამწყვეტ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება ოთხმა ფავორიტმა (უნივერსიტეტი, „სინათლე", პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები) მოიპოვა.

სატრანსპორტო გაერთიანების სპორტული კლუბის „სინათლის" კალათბურთელებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები — 95:90. უნივერსიტეტმა კი თავის ტრადიციულ მეტოქეს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს აჯობა — 88:72.

ფინალში, ისევე როგორც შარშან, ერთმანეთის პირისპირ უნივერსიტეტისა და „სინათლის" გუნდები წარსდგნენ, მაგრამ თუ შარშან გამარჯვება ტრანსპორტელებს ხვდათ, წლეულს სტუდენტმა კალათბურთელებმა (მწვრთნელი ნუგზარ მარქოიშვილი) რევანში აიღეს. ბრძოლა იყო მეტად მძაფრი და შეუპოვარი, რაც, სხვათა შორის, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს — 82:81.

ჯამლეტ ხუხაშვილი.

სურათზე: გამარჯვებული გუნდი.

საქართველოს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში

20 ფიგურული მოციგურავე მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც ამას წინათ გაიმართა ჩვენი ქალაქის საციგურაო სკოლის სარბიელზე.

ქალთა შორის ოსტატთა პროგრამით, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ლია სამხარაძემ, მეორე ადგილზეა ლეილა ახმეჯანოვა, მესამეზე — ლიანა თათარაშვილი (სამივე — „დინამო"). ვაჟებში პირველი ორი ადგილი ასევე გამოცდილმა დინამოელებმა დაისაკუთრეს — შესაბამისად ბესო ცინცაძემ და გიზო ბლიაძემ. მესამე ადგილზე გავიდა ვლადისლავ კუმკუმაჯიანი („განთიადი").

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მხოლოდ ქალები ასპარეზობდნენ. საპრიზო სამეული ასე გამოიყურება: თამარ ცინცაძე („დინამო"), ქეთევან ორბელაძე და თამარ კაჭახიძე (ორივე — „განთიადი").

მარტის შუა რიცხვებში თბილისში დაიწყება ქალაქის თასის გათამაშება, 6-13 აპრილს კი ალმა-ათაში სსრ კავშირის თასისათვის მებრძოლნი შეიკრიბებიან სასპარეზოდ.

„სპორტპროგნოზი": სპეციალისტთა აზრი (მე-10 ტირაჟი, 7-11 მარტი)

წყვილები		პროგნოზები		
1. კალათბურთი. „ჟალგირისი" — ცსკა	7. III.	20	10	70
2. წყალბურთი. „დინამო" (ალმა-ათა) — „უნივერსიტეტი" (მოსკოვი)	7.III.	40	0	60
3. ფეხბურთი. ცსკა — „დინამო" (მინსკი)	9. III.	50	30	20
4. ფეხბურთი. „გურია" — „დინამო" (კიევი)	9. III.	0	50	50
5. ფეხბურთი. „ნეფთჩი" — „ტორპედო" (მოსკოვი)	9. III.	20	30	50
6. ფეხბურთი. „დნეპრი" — „ქაირათი"	10. III.	60	20	20
7. ფეხბურთი. „შახტიორი" — „ზენიტი"	10. III.	20	60	20
8. ფეხბურთი. „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)	10. III.	30	60	10
9. ფეხბურთი. „არარატი" — „მეტალისტი"	10. III.	80	10	10
10. ჰოკეი. „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)	10. III.	70	10	20
11. ჰოკეი. „სოკოლი" (კიევი) — „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი)	10. III.	50	10	40
12. ბურთიანი ჰოკეი. „კუზბასი" (კემეროვო) — „დინამო" (ალმა-ათა)	8. III.	20	10	70
13. ბურთიანი ჰოკეი. „სტროიტელი" (სიქტივკარი) — „ზორკი" (კრასნ.)	11.III	30	0	70

ეზოც აღზრდის კერაა

დაგვეხმარეთ...

ხშირად ვღებულობთ წერილებს, რომელთა ავტორები გვთხოვენ დავეხმაროთ სათამაშო მოედნის მოწყობაში, დანგრეულის აღდგენაში. ამას წინათ ერთი ასეთი წერილი თბილისის ლენინის რაიონის სანზონის დასახლებიდან მივიღეთ. მოზარდებს ამ უბანში საწყობის თავზე თავიანთი ხელით მოუწყვიათ მოედანი, მაგრამ მისი შემოღობვა ვეღარ მოუხერხებიათ და დახმარებისთვის ჩვენ მოგვმართეს...

მეცხრე კორპუსის წინ მდებარე სარდაფში ამ ხუთიოდე წლის წინ თამბაქოს საწყობი ყოფილა. სარდაფის ბეტონის სახურავი მიწას უსწორდება და უბნის ბიჭებს აქ ფეხბურთის მინი-მოედანი მოუწყვიათ, დაუხაზავთ, რკინის ძელებიც დაუდგამთ, ბადეც გაუჭიმავთ, მაგრამ ძელები უკვე მორყეულია, ბადეც დახეულა, თუმცა ბავშვებს უფრო ის აღარდებთ, რომ მოედანი შემოუღობავია და გულმშვიდად ვერ თამაშობენ, რადგან ბურთი გამვლელებს ხვდება. გარდა ამისა, მოედანი წინა მხრიდან ამაღლებულია და შეიძლება ვინმე გადმოვარდეს. თუ მოედანი შემოიღობება, აქ ფეხბურთის მოედნის გარდა, შეიძლება ფრენბურთის და კალათბურთის მოედნებიც მოეწყოს. გარდა ამისა, სარდაფში, თუ იგი გასუფთავდება, შეიძლება ჩოგბურთის, ჭადრაკის, შაშის სათამაშო მაგიდები დაიდგას.

25-ე კორპუსთან არის ქვა-ღორღით სავსე ერთი ადგილი, სადაც შეიძლება დიდი სპორტული მოედნის მოწყობა, თუმცა ეს დიდ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული, ამიტომ კარგი იქნება თუ პირველ რიგში ზემოხსენებული მოედანი შემოიღობება. ბიჭები მზად არიან თვითონ მიეხმარონ მშენებლებს.

ავთანდილ ქოქაშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.

ტელეტაიპი - მკითხველი

ნიუ-იორკი. „მედისონ სკვერ-გარდენის" დარბაზში მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე ორი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა. ჰაიკე დრეჰსლერმა (გდრ) სიგრძეზე ხტომაში 732 სანტიმეტრი დაძლია, ამერიკელმა მაიკ კონლიმ კი სამხტომში 17 მ და 76 სმ აჩვენა.

დასავლეთ ბერლინი. შვედმა სიმაღლეზე მხტომელმა პატრიკ შებერგმა მსოფლიო რეკორდის (241 სმ) გაუმჯობესება სცადა, მაგრამ სარეკორდო სიმაღლე ვერ დასძლია. და მაინც, პირველი ადგილი დაიკავა საკმაოდ მაღალი შედეგით — 240 სმ.

დელი. მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა ამ ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტი აირჩია. კენჭისყრის დროს იაპონელმა იტირო გიმურამ 26 ხმით აჯობა ახლა უკვე ყოფილ პრეზიდენტს ინგლისელ როი ევანსს.

ხარკოვი. საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის ჭაბუკ მოცურავეთა სამატჩო შეხვედრის პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ გერმანელი სპორტსმენები — 64:56.

დარჯილინგი. შერპი მთამსვლელი თენსინგ ნორგეი, რომელიც ახალზელანდიელ ედმუნდ ჰილარისთან ერთად პირველი ავიდა დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8848 მ.), ერთ-ერთი ის უიშვიათესი სპორტსმენი გახდა, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ (იგი შარშან, მაისში, ფილტვების ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა) ძეგლი დაუდგეს. სახელგანთქმულ შერპს ძეგლი დაუდგეს ინდოეთის მაღალმთიან ქალაქ დარჯილინგში, სადაც იგი ცხოვრობდა.

პედაგოგი გზას ულოცავს

დასასრული

ლობით ვარჯიშებს და ბავშვებიც ბაძავენ დათვებს, ჩიტებს, წიწილებს...

კლასი პირობითად ძლიერთა და მოხერხებულთა ჯგუფებად იყოფა. სწრაფი ტემპით მიდის გაკვეთილი.

ვუყურებ, მასწავლებელს და მაკვირვებს მისი ენერგია. აი, თურმე რის ფასად უჯდება მას ბავშვის ყოველი მოძრაობის დახვეწა.

ბოლოს მასწავლებელი მაგნიტოფონს რთავს. ქართული საცეკვაო ჰანგის მუსიკის ხმაზე ბავშვები ცეკვით მიდიან გასასვლელისკენ...

— დაიღალეთ? — ვეკითხები და გაბრწყინებულ სახეებს ვათვალიერებ.

— არა!

— სულაც არა!

— ყველაზე მეტად ფიზკულტურის გაკვეთილი გვიყვარს.

— ძალიან გვიყვარს ეთერი მასწავლებელი...

ღია გაკვეთილის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს, ეთერ ხახუბიას მიერ ჩატარებულ ღია გაკვეთილს და ყველა ბავშვის მომზადებას ფრიადზე აფასებენ.

...რა ხანია გაკვეთილი დამთავრდა, დაცარიელდა სკოლის სპორტული დარბაზი, გახარებული და ოდნავ დაღლილი ჩანს ეთერ ხახუბია. უკვე 25 წელია, რაც იგი მოზარდთა ფიზიკურ აღზრდას ემსახურება, რამდენ ბავშვს გამოუვლია მის ხელში. მართალია, ყველა სპორტს არ გაჰყოლია, მაგრამ ფიზიკური კულტურის სიყვარული ბოლომდე შერჩენიათ.

სხვათა შორის, დიდი ხნის წინათ, როდესაც მეხუთეკლასელი ეთერ ხახუბია ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკურ პირველობაზე გამოსულა, ბატონ გიორგი მერკვილაძეს ძალიან მოსწონებია თითისტოლა ბავშვის გამოსვლა და მწვრთნელისთვის უთქვამს, ამ გოგონას ყურადღება მიაქციეთო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ესტაფეტა ხელიდან ხელში გადადის. პატარებს ახლა ეთერ ხახუბია ულოცავს გზას.

მანანა ბიძინაშვილი,
თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.

დინამოელები საფეხბურთო სტარტის წინ

— **ჩემმა** მეგობრებმა, ვეტერანმა დინამოელმა ფეხბურთელებმა მთხოვეს მოსკოვის, კიევის, მინსკისა და თბილისის დინამოელთა გუნდების ახლანდელი თაობის მოთამაშეთათვის გადამეცა კეთილი სურვილები და იმედი, რომ ისინი წლევანდელი საიუბილეო საკავშირო ჩემპიონატის ლიდერთა შორის იქნებიან. გისურვებთ სანიმუშონი იყოთ სხვებისთვის და ღირსეულად იბრძოლოთ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მაღალი შედეგებისთვის.

ამ სიტყვებით მიმართა დინამოელთა ოთხი კლუბის ფეხბურთელებს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ძველმა დინამოელმა ლევ იაშინმა საკავშირო ჩემპიონატის სტარტის წინ გამართულ ტრადიციულ შეხვედრაზე საკურორტო ქალაქ გაგრაში. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ არა მარტო ფეხბურთელები და მათი ხელმძღვანელები, არამედ დამსვენებლებიც, რომლებიც მრავლად არიან გაგრაში.

დინამოელმა ფეხბურთელებმა საკონტროლო მატჩები გამართეს უცხოეთის გუნდებთან, რომლებიც საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან შავი ზღვის სანაპიროზე. მათ შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის „რუდა ჰვეზდა“ (ქ. ხები) და „სიგმა“, (ქ. ოლომოუცი), პოლონეთის „ვისლა“ (კრაკოვი) და უნგრეთის „ჩეპელი“ (ქ. ბუდაპეშტი).

ყველაზე კარგად ამ მეტოქეებთან ითამაშეს თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც დაამარცხეს „ვისლა“ — 2:0, „სიგმა“ — 1:0 და „ჩეპელი“ — 3:0, ხოლო „რუდა ჰვეზდასთან“ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 0:0. მოსკოვის დინამოელებმა მოუგეს „ვისლას“ —2:1, „სიგმას“ — 1:0, „ჩეპელს“ — 1:0 და წააგეს „რუდა ჰვეზდასთან“ 0:1.

მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა წინასასეზონო მზადებას მაღალი შეფასება მისცა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა, რომელმაც რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეარჩია თავისი გუნდისთვის.

ახალი ბაზა ნაკრებისთვის

რიო-დე-ჟანეირო. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ გამოაცხადა, რომ ტერესპოლისში, რომელიც 40 კილომეტრითაა დაცილებული რიო-დე-ჟანეიროს, გაიხსნა ეროვნული გუნდის ახალი საწვრთნელი ცენტრი. ამის თაობაზე ბოლო ხანებში ბევრს წერს ბრაზილიური სპორტული პრესა.

კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნაბი აბი ჩეიდიდმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მომავალი, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბრაზილიას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს დასახული — ოქროს მედლების მოპოვება. საამისოდ უკვე ახლა დიდძალი თანხებია გამოყოფილი, ახალი საწვრთნელი ბაზაც ამ მიზნით აიგო, საგანგებო ყურადღება დაეთმობა მედიცინას, ტერესპოლისში შეიქმნა უახლესი სამედიცინო ცენტრი, აშენდა ტანვარჯიშული დარბაზი, დიდი საცურაო აუზი.

— მაგრამ, — დაუმატა ნაბი აბი ჩედიდმა, — ბრაზილიაში ჯერჯერობით არც ეროვნული ნაკრებია ჩამოყალიბებული, არც მისი ხელმძღვანელია შერჩეული. ამ კარდინალური საკითხების მოსაგვარებლად კონფედერაციას დიდი მუშაობა მართებს.

ფიფა-ს საჩუქარი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფა) გადაწყვიტა მექსიკის მთავრობას საჩუქრად გადასცეს 1,3 მილიონი დოლარი.

ეს თანხა მოხმარდება ახალი საცხოვრებელი სახლების აშენებას მათთვის, ვინც უსახლკაროდ დარჩა 1985 წლის სექტემბერში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შემდეგ.



ჩემპიონები იგონებენ

ეს რკინის კასრი რომ არა

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადაზე, რომელიც შარშან მოეწყო, 23 წელზე უფროსი ასაკის ძალოსნებს ეკრძალებოდათ ასპარეზობა. ეს ფაქტი იმიტომ გაგვახსენდა, რომ თავის დროის ერთ-ერთ უძლიერეს ძალოსანს დიტო შანიძეს ამ ასაკში შტანგისთვის საერთოდ არ მოუკიდია ხელი. იგი 24 წლისა იყო, როცა პირველად სცადა ბედი. უცნაურია, რომ დიტო შანიძის როგორც ძალოსნის აღმოჩენას ხელი შეუწყო ჩვეულებრივმა საღებავით სავსე რკინის კასრმა. ეს ასე მოხდა. ქუთაისის ლითოფონის ქარხანაში მუშაობის დროს დიტომ, რომელიც 60 კგ-ზე ნაკლებს იწონიდა, 75-კგ-იანი კასრი აიტაცა და სატვირთო მანქანაზე შეაგდო, თანამშრომლები, რომლებიც ამ სცენას გაკვირვებული უყურებდნენ, ძარაზე შეხტნენ და უხმოდ დაეტაკნენ კასრს — იმის გასაგებად, მართლა სავსეა, თუ დიტომ იხუმრაო. ერთ-ერთმა მათგანმა, სულიკო მიქაუტაძემ, როცა ეს ამბავი, როგორც იქნა დაიჯერა, დიტო ქუთაისის სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ძალოსნობის დარბაზში წაიყვანა. სულიკომ ძალოსნობის მწვრთნელს ბონდო კუპუხიძეს საქმის ვითარება გააცნო და სთხოვა, დიტოს შტანგა ავაწევინოთო. ბონდომ ეჭვის თვალით ახედ-დახედა ახალგამომცხვარ „ძალოსანს“ და 50-კილოგრამიან შტანგასთან მიიყვანა. დიტომ „საწყისი“ წონა ბუმბულივით აიტაცა. მწვრთნელმა კიდევ 10 კილოგრამი დაუმატა, შემდეგ კიდევ ამდენი. შეგირდებმა ვარჯიშს თავი დაანებეს და ყველა მათ შემოეხვია. დიტომ იმ დღეს 90 კილოგრამი ასწია.

— ბიძია, თქვენ სახუმარო და სამასხრო სხვა ვერაფერი ნახეთ?, — გაბრაზდა ბონდო კუპუხიძე, — ნავარჯიშები ყოფილხარ და ვის ატყუებ?

ძლივს დააჯერა დიტომ მწვრთნელი, რომ შტანგისთვის ადრე ხელი არასოდეს შეუვლია.

ასე მოხვდა დიტო ძალოსნობის დარბაზში, საიდანაც, ცხადია, დიდხანს აღარ გამოუშვიათ. მოხდა დაუჯერებელი ამბავი — 9 თვის შემდეგ საქართველოს პირველობაზე დიტომ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ასეთი რამ იშვიათია ძალოსნობაში. ორი წლის შემდეგ იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა და ეს ტიტული 12 წელიწადს აღარ დაუთმია. ქართველი ძალოსანი ექვსჯერ იყო საბჭოთა კავშირის, ორჯერ — ევროპის, ერთხელ კი — მსოფლიო ჩემპიონი. ორჯერ, მეხიკოსა და მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში, იგი ვერცხლის მედალს დასჯერდა. გარდა ამისა, დიტო შანიძეს ეკუთვნის 47 რესპუბლიკური, 27 საკავშირო და 12 მსოფლიო რეკორდი. და კიდევ, იშვიათად რომ ვინმე 36 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყოს. დიტომ 44 წლისამ დაანება თავი აქტიურ სპორტს. ეს იყო 1979 წელს ლენინგრადში, სადაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ მშრალ ციფრებში სპორტსმენის მთელი ცხოვრებაა ჩაქსოვილი — მისი სიხარული, სინანული, ეჭვი, უძილო ღამეები. დღეს მკითხველს ვთავაზობთ გამოჩენილი ძალოსნის რამდენიმე მოგონებას.

„შურისძიება“

— 1963 წელს საქართველოს ძალოსანთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა შოთა წერეთელმა შემომთავაზა, თბილისში გადმოდიო. ასე იყო საჭირო და ბევრი აღარ მიფიქრია. შემდეგში შოთა არა მარტო ჩემი მწვრთნელი და ჩემი წარმატებების „თანაავტორი“, გულითადი მეგობარიც გახდა. მუდამ გვერდში მედგა, მამხნევებდა. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: სახელგანთქმულ თბილისელ ძალოსანს რაფაელ ჩიმიშკიანს აკვრაში მსოფლიო რეკორდი „ჩამოართვა“ მოსკოველმა სოლოვიოვმა და ათ წელიწადს ეს მიღწევა მას ეკუთვნოდა. 1966 წელს თბილისში, საქართველოს პირველობაზე, რაფაელს დავპირდი, დღეს შენს რეკორდს ისევ საქართველოში დავაბრუნებ მეთქი. მერე კი ვინანე რომ ვიჩქარე, მაგრამ რაღას ვიზამდი. არადა, არ მიყვარს სიტყვის გატეხა... რეკორდი „ტრადიციული“ ნახევარი კილოგრამის ნაცვლად კილოგრამნახევრით გავაუმჯობესე.

„რეკორდი ბეწვზე ეკიდა“

— 1967 წელს, ისევ თბილისში, სპორტის სასახლეში, „მეგობრობის თასის“ გათამაშებაში საბჭოთა კავშირის რეკორდი დავამყარე სამჭიდში. გადავწყვიტე აკვრაში. ჩემს ყველაზე საყვარელ მოძრაობაში, მსოფლიო რეკორდი გამეუმჯობესებინა. ისეთი სიჩუმე გამეფდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. შტანგა მკერდზე თავისუფლად ავიტანე, შემდეგ ავკარი კიდეც, მაგრამ დრომდე გაჩერება ველარ შევძელი. შემდეგ გაზეთებში წერდნენ, „მსოფლიო რეკორდი ბეწვზე ეკიდაო“. ამ შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა არკადი ვორობიოვმა ნაკრებში ჩამრიცხა და იმ დროიდან კარგა ხნით დამკარგეს თანასოფლელებმა. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, ჩემს თანასოფლელებს დიდხანს არ სჯეროდათ თუ მართლა



სურათებზე: დიტო შანიძე მექსიკის ოლიმპიურ ფიცარნაგზე; სარეკორდო ნახტომი.

ძალოსანი ვიყავი. ჰქონდათ კიდეც ამის მიზეზი, ახალგაზრდობაში გვარიანად ვთამაშობდი ფეხბურთს და ფრენბურთს, შტანგას კი, თქვენც იცით, არ გავკარებივარ. ერთხელ ალუშტაში მოსკოვის „სპარტაკის“ ჰოკეისტებს საბჭოთა ნაკრების ძალოსნებმა ფეხბურთში ანგარიშით 4:2 მოვუგეთ. ორი ბურთი მე გავიტანე. ეს კია, რომ ჩვენი კარი უფრო პატარა იყო... ლეონიდ ჟაბოტინსკი იდგა.

გამარჯვება შუაღამისას

— 1967 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად პირველად გავემგზავრე საზღვარგარეთ — ავსტრიაში. ვენაში, საერთაშორისო შეჯიბრება ტარდებოდა. ფიცარნაგზე გამოსვლა ჩვენი დროით ღამის 2 საათზე მომიწია. თვალებს ძლივს ვახელდი. ცივ ლითონს რომ მოვკიდე ხელი გამოვფხიზლდი. პირველი ადგილი კი დავიკავე, მაგრამ ერთი მამაპაპური ძილი ქვეყანას მერჩია. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ოთხი წლის შემდეგ ძილი სანატრელი გამიხდებოდა. 1971 წელს ლიმაში მსოფლიო პირველობაზე აჭიმვაში საწყისი წონა სამჯერ დავძლიე, მაგრამ ფილიპინელმა მთავარმა მსაჯმა არ ჩამითვალა (ჰქონდა მიზეზი), ამის გამო ნული მივიღე. სამი დღე და ღამე ძილი არ მომეკარა. ასეთი მარცხი არც მანამდე და არც მას შემდეგ აღარ მიწვნევია. მომდევნო წელს ტალინში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე 402,5 კილოგრამი ავწიე და იაპონელი მიაკეს მსოფლიო რეკორდი სამჭიდში 2,5 კილოგრამით გავაუმჯობესე. იმავე წელს ევროპის პირველობაზე რუმინეთში დავამყარე მსოფლიო რეკორდი აკვრაში (156,5 კგ.).

ტელეგრამაზე სწრაფი

— 1969 წელს როსტოვში მეგობრობის თასის გათამაშებაზე, აკვრაში ამერიკელი ბერგერის რეკორდი (152,5 კგ) ერთი კილოგრამით გავაუმჯობესე. დღის ოთხ საათზე თბილისში დეპეშა ვაფრინე: „დავამყარე მსოფლიო რეკორდი, გკოცნით, თქვენი დიტო“. როსტოვიდან მეორე დღეს, დილის შვიდ საათზე გამოვფრინდი — ათზე უკვე შინ ვიყავი. ის იყო, ოჯახის წევრებმა გამარჯვება მომილოცეს, რომ ზარიც დაირეკა. კარები გავაღე და ყურებამდე გაღიმებულმა ფოსტალიონმა ჩემი გამოგზავნილი ტელეგრამა საკუთარ ხელში ჩამაბარა.

ამ რეკორდამდე ცოტა ადრე ლენინგრადში ევროპის პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე (385 კგ). პირველ ადგილზე გავიდა პოლონელი ნოვაკი, ორ კილოგრამ-ნახევრით მაჯობა. ამ ასპარეზობაზე საინტერესო ბრძოლა გაიმართა ჩემსა და უნგრელ ირმი ფიოლდს შორის. ირმიმ ატაცში მთელი 37 კილოგრამით გამისწრო, მაგრამ აჭიმვაში (15 კგ) და აკვრაში (25) მე ვაჯობე. აგვისტოში „ბალტიკის თასზე“ ჰელსინკში ჩემი პირადი რეკორდი 7 კილოგრამით გავაუმჯობესე (392,5 კგ. ეს იყო ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი) და ნოვაკს 12 კილოგრამით გავუსწარი. ამის შემდეგ მასთან აღარც წამიგია.

თავს ზემოთაც შეიძლება გადახტომა

— 1968 წელს მეხიკოში ოლიმპიურ სოფელში მძლეოსნები ვარჯიშობდნენ. ერთი ორმეტრიანი ზანგი, აღარ მახსოვს, რომელი ქვეყნიდან იყო, სიმაღლეზე ხტებოდა. ის რომ გადახტა, მეც გადავხტი. გაეცინა და უფრო მაღლა ასწია თამასა. ისევ გადახტა და შემომხედა. გადავხტი და შევხედე: ასე ასწია 190-სმ-მდე, [illegible] ხელითაც [illegible] ღრმად ამოვისუნთქე და ამ სიმაღლესაც [illegible] [illegible] კორესპონდენტები გამოჩნდნენ. ალბათ გაუკვირდათ, რომ სიმაღლეზე მხტომელს არ ვგავდი, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხეს, ერთ-ერთმა მაინც მკითხა, თქვენი უმაღლესი ნახტომი რამდენიაო — აგერ გაზომეთ-მეთქი. რომ გაიგეს, ძალოსანიაო, ძალიან გაუკვირდათ. ამ საუბრამდე ვიღაცას ჩემი ნახტომი გადაეღო და სამ საათში უკვე გაზეთში ვიყავი გამოჭიმული.

ლაპარაკი ჩემზე იყოს

— მიუნხენში ოლიმპიადაზე კოტე მახარაძემ მითხრა: დიტო, შენ შტანგა ასწიე და ლაპარაკი ჩემზე იყოსო. შევთანხმდით. ჩემპიონობისთვის ბრძოლა ჩემსა და ბულგარელ ნორაირ ნურიკიანს შორის გაჩაღდა. აჭიმვაში (2,5 კგ) და ატაცში (2 კგ.) მე ვუგებდი. აკვრაში პირველ ცდაზე ორივემ 147,5 კილოგრამი დავძლიეთ, შემდეგ 152,5 კილოგრამიც დავიმორჩილეთ. მოულოდნელად ნორაირმა 155 კილოგრამი გამოტოვა. მე რატომღაც მოგებულად ჩავთვალე შეჯიბრება და... ეს წონა ვერ დავძლიე. ნორაირმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაიმორჩილა შტანგა. ორივემ 400-400 კილოგრამი დავაგროვეთ. გამარჯვების ბედი გადაწყვიტა პირადმა წონამ. მე 50 გრამით მძიმე აღმოვჩნდი მეტოქეზე. ამ ბრძოლაში მწვრთნელებს ტაქტიკური შეცდომა მოუვიდათ — მესამე ცდა მეც უნდა გამომეტოვებინა. ამ შემთხვევაში ბოლო ცდა ჩემი იქნებოდა. ასეა თუ ისე, ოლიმპიური ოქროს მედალი დავკარგე. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სიტყვა ვერ შევასრულე. კოტემ ჩემზე მაინც ბევრი ილაპარაკა. მაგრამ, ცხადია, გულდაწყვეტით. ამის შემდეგ ნურიკიანს ორჯერ შევხვდი — 1973 წელს (იმ წლიდან სამჭიდი ორჭიდით შეიცვალა) კუბაში, მსოფლიო ჩემპიონატზე, და იმავე წელს ესპანეთში, ევროპის ჩემპიონატზე! ორივე შეჯიბრებაში ოქროს მედლები მოვიპოვე. მაგრამ იმ ვაგლახად დაკარგულ ოლიმპიურ ოქროს მედალზე დღემდე გული მწყდება.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **შოთა წერეთელი:** — დიტო ნამდვილი ტალანტი იყო. ადრე რომ დაეწყო ვარჯიში, კიდევ მეტს მიაღწევდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო აკვრაში. დარწმუნებული ვარ, დაგვიანებით რომ არ გაეუქმებინათ აჭიმვა, დიტო კიდევ უფრო გამოიჩენდა თავს. ცალკე მინდა ვთქვა მის ადამიანურ თვისებებზე. იგი მუდამ დიდი სიყვარულით იყო გარემოსილი. განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებში. გუნდის სული და გული იყო. მოწყენა არ „ეხერხებოდა“. დისციპლინა არასოდეს დაურღვევია. ძალიან შრომისმოყვარე და (ეს არაერთხელ აღუნიშნავთ ცენტრალურ პრესაშიც) ერთგული იყო. კარგად მახსოვს, ხალხთა VI სპარტაკიადაზე დიტო საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო. მისგან რეკორდს ელოდნენ. შეჯიბრების წინა დღეს დიტომ დილიდანვე თავი ცუდად იგრძნო. დაეწყო სურდო, მშრალი ხველა, მისცა მაღალი სიცხე, მაგრამ ეს არავისთვის გაუმხელია. მისი ავადმყოფობა მხოლოდ საღამოს გავიგეთ, როცა მდგომარეობა მკვეთრად გაუუარესდა. ექიმი ყოველ ღონეს ხმარობდა. მეორე დღეს დილით, სიცხე 38 გრადუსი ჰქონდა. დიტო მაინც ხუმრობს — თერმომეტრია გაფუჭებული, თორემ თავს მშვენივრად ვგრძნობო და აი, დასუსტებული, სიცხიანი, მაინც გამოვიდა ფიცარნაგზე გუნდის ინტერესებისთვის — სხვანაირად მას არ შეეძლო.

დიტო შანიძეს 50 წელი შეუსრულდა. დღესაც ჭაბუკურად ხალისიანია, სიცოცხლით სავსე. ხანდახან მაინც შემოაწვება ხოლმე სევდა, — მოენატრება რკინასთან ჭიდილი. ისევ მინდა შტანგას დავუბრუნდეო, მითხრა, — **მინდა აღვზარდო სპორტსმენი, ვინც ჩემს გზას გააგრძელებს და ჩემზე მეტსაც მიაღწევსო.**

ჯემალ კასრაძე.

საჭადრაკო კომპოზიცია ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

დილარამის მემკვიდრეები

ჭადრაკის ისტორიამ შემოგვინახა ერთი არაბული ამოცანა, რომლის ავტორობას ლეგენდა X საუკუნეში მცხოვრები ვეზირის ცოლს დილარამს მიაწერს. საქმე ის არის, რომ ქალები საჭადრაკო კომპოზიციით სერიოზულად მხოლოდ გასულ საუკუნეში დაინტერესდნენ. 1882 წელს ინგლისელმა ფრიდესვაიდ ბიჩემ (1855-1929) ქალთა შორის პირველმა მოიპოვა პრიზი კონკურსში. შემდეგ წელს მან თავისი ამოცანების კრებული გამოსცა, 1884 წელს კი მომავალ მეუღლესთან თომას როულენდთან ერთად შეფილდის გაზეთის საჭადრაკო განყოფილების გაძღოლა ითავა.

საჭადრაკო კომპოზიციის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა მეორე ინგლისელმა ედიტ ბერდმა (1859-1924), ქალიშვილობაში ვინტერ-ვუდმა, რომლის დებიუტიც XIX საუკუნის 80-იან წლებში შედგა. იგი წარმატებით მუშაობდა კომპოზიციის ბევრ ჟანრში, ხშირად იმარჯვებდა მამაკაც პრობლემისტებთან საკონკურსო ჭიდილში და ბევრ მათგანს შედგენილი ნაწარმოებების რაოდენობითაც (2000-მდე!) ჯობნიდა — 1902 წელს გამოსცა „700 საჭადრაკო ამოცანა“, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ახალი კრებული, რომელშიც მისი 300 პირობითი, სახვითი და სახუმარო ამოცანა იყო თავმოყრილი. ბერდის კომპოზიციებში ხშირად ძნელად მოსაძებნია პირველი სვლა, რაც ეფექტსა და ღირსებას მატებს ამოცანას.

ე. ბერდი. 1893



შამათი 3 სვლაში

1. ლg7! მოულოდნელი სვლა, რის შემდეგაც შავ მეფეს ოთხი თავისუფალი უჯრა უჩნდება. 1. ...მფc6 (1. ...მფ:c4 2. ლd4+) 2. c5 მფ:c5 3. ლc7×, 1. ...მფb6 2. მb5 მფa5 3. ლa7×, 1. ...მფd6 2. მb5+ მფe6 3. მcd4×. სამივე შამათი სანიმუშოა. ამ ლამაზმა მინიატურამ ინგლისის კონკურსზე I პრიზი დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ე. ბერდის საკომპოზიციო ნიჭი მის ქალიშვილს ლილიანსაც გამოჰყვა, რომელმაც საინტერესო ნაწარმოებებით უკვე 13 წლის ასაკში მოიპოვა აღიარება.

XX საუკუნე, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, ქალთა საჭადრაკო კულტურის აღმავლობის დასაწყისია. ამ პერიოდის წარმომადგენლებზე ჩვენს შემდეგ გამოშვებაში გესაუბრებით.

* * *

სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯრედიან შაშში

ხუთი ტურით ადრე

დაუგავპილსი (ლატვია), 28 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). 5 ტურილა დარჩა ასუჯრედიან შაშში სსრ კავშირის ვაჟთა უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის დამთავრებამდე. წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ჯუმბერ ბერიშვილმა XII ტურში ძალ-ღონე მოიკრიბა და საპატიო ყაიმს მიაღწია ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან, რიგელ საერთაშორისო დიდოსტატთან ალექსანდრე მოგილიანსკისთან შეხვედრაში. ამ ტურში ბუჟინსკიმ მოუგო ბერჩისს, კორენევსკიმ — შულმანს, ვალნერისმა — პრესმანს. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

არტურ ბოიხმანი.

რადიო-ტანვარჯიში ყველასათვის

გადმოიცემა რადიოთი ყოველ დილით 1-31 მარტს

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

ადგილზე სიარული

ფეხები შეაერთეთ, წელში გაიმართეთ, მხრები გაშალეთ. იარეთ ადგილზე 15-20 წმ. განმავლობაში (თუ ოთახის ფართობი საშუალებას გაძლევთ, შეგიძლიათ იაროთ წინ გადაადგილებით), გადადით ცერებზე სიარულზე (5-10 წმ); შემდეგ ისევ ჩვეულებრივ სიარულზე (15-20 წმ), მუხლი ასწიეთ მაღლა, თავი არ დახაროთ, წინ არ გადაიხაროთ, ისუნთქეთ თავისუფლად.

I ვარჯიში — უკუზნექი, განმკლავი (I და VIII ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში, თითოეული ვარჯიში მეორდება 8-10 ან 10-12-ჯერ).

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, წელში გაიმართეთ.

თვლაზე ერთი-ორი — ტანი გადახარეთ უკან, ერთდროულად მკლავები გაიტანეთ წინ და განზე — განმკლავი, ნებების ზევით ამოტრიალებით და ჩაისუნთქეთ.

თვლაზე სამი-ოთხი დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და ამოისუნთქეთ.

II ვარჯიში — ტაში თავს ზემოთ.

ფეხები ერთად, გაიმართეთ, თავი ასწიეთ.

თვლაზე ერთი — განმკლავი.

თვლაზე ორი — ზემკლავი და ტაში თავის ზემოთ.

თვლაზე სამი — ისევ განმკლავი.

თვლაზე ოთხი — მკლავები დაუშვით.

ტაშის შემოკვრისას თავი ასწიეთ და უყურეთ ხელებს.

III ვარჯიში — ტანის ბრუნვა.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, გაიმართეთ.

თვლაზე ერთი, — მკლავები მოხარეთ თავსუკან, ნებების კეფაზე მიბჯენით.

თვლაზე ორი — ტანი მარცხნივ, ბოლომდე მოაბრუნეთ.

თვლაზე სამი — გასწორდით.

თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

მომდევნო ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში ტანის მარჯვნივ მიბრუნებით.

IV ვარჯიში — განზე ზნექი მარჯვენის ან მარცხენის ზემკლავით.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, გაიმართეთ, თავი ასწიეთ.

თვლაზე ერთი — შემოიდგით დოინჯი.

თვლაზე ორი — გადაიზნიქეთ მარცხნივ და ნახევრად გაიმართეთ.

ერთდროულად მარჯვენა ხელი შემართეთ ზევით.

თვლაზე სამი — დამატებით ზნექი მარცხნივ.

თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

მომდევნო ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში ტანის მარჯვნივ გადაზნექით და მარცხენის ზემკლავით.

V ვარჯიში — ბუქნი ფეხის განზე გამართვით.

ფეხები ერთად, გაიმართეთ, თავი ასწიეთ.

თვლაზე ერთი — ჩაბუქნეთ ხელების იატაკზე დაბჯენით.

თვლაზე ორი — მარცხენა ფეხი გამართეთ განზე.

თვლაზე სამი — მარცხენა ფეხი მოხარეთ ბუქნის მდგომარეობაში.

თვლაზე ოთხი დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

მომდევნო ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში მარჯვენა ფეხის განზე გამართვით.

VI ვარჯიში — ფეხშლით დგომში წინზნექი — უკუმკლავი.

გადგით ფეხები მხრებზე უფრო განივრად, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ.

თვლაზე ერთი — ბრუნი მარცხნივ.

თვლაზე ორი — მოხარეთ მარცხენა ფეხი, ტანი დახარეთ წინ და მკლავები გაიტანეთ უკან.

თვლაზე სამი — გაიმართეთ, მკლავები დაუშვით.

თვლაზე ოთხი—შებრუნდით მარჯვნივ, ე. ი. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

მომდევნო ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში მარჯვნივ შებრუნებით. წინზნექის შესრულებისას — ამოისუნთქეთ, გამართვისას — ჩაისუნთქეთ.

VII ვარჯიში — ახტომები და ადგილზე სირბილი.

ვისაც ახტომები და სირბილი ეძნელება, შეუძლია ამის ნაცვლად რამდენჯერმე ნელა ჩაბუქნოს ან ადგილზე იაროს.

ფეხები ერთად, ცერები შეაერთეთ, დოინჯი.

შეასრულეთ ადგილზე 20 ახტომი და ამის შემდეგ გადადით სირბილზე. ირბინეთ 20 წმ განმავლობაში და ისევ გადადით სიარულზე. იარეთ 10-15 წმ. სიარულში რამდენჯერმე შეასრულეთ ვარჯიში: ზემკლავი — ჩაისუნთქეთ, მიმკლავი — ამოისუნთქეთ.

VIII ვარჯიში — ტანის ბრუნი მკლავების თავისუფალი ქნევით. გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, ტანი ოდნავ დახარეთ წინ. ვარჯიში სრულდება მთელი ტანის კუნთების მოდუნებით.

თვლაზე ერთი — ტანი მოაბრუნეთ მარცხნივ, მარჯვენა მკლავის ტანის წინ, ხოლო მარცხენის ტანის უკან მოქნევით.

თვლაზე ორი — ტანი მოაბრუნეთ მარჯვნივ მარცხენა მკლავის ტანის წინ, ხოლო მარჯვენის ტანის უკან მოქნევით.

დავით ჟვანია.

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

თავმდაბალი დანიელის აღიარება

1977 წლის „ოქროს ბურთის“ კონკურსში ყველას აჯობა და ეს საპატიო ჯილდო დაიმსახურა დასავლეთ გერმანიის ბუნდესლიგის კლუბის, მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ მოთამაშემ, ცნობილმა დანიელმა ფეხბურთელმა ალან სიმონსენმა. ეს ამბავი რომ გაიგო, სპორტსმენმა თქვა: „მოხარული ვარ ასეთი აღიარებისა, მაგრამ, ვფიქრობ, „ოქროს ბურთი“ მხოლოდ იმიტომ მივიღე, რომ წლევანდელმა სეზონმა საერთოდ საკმაოდ უფერულად, საშუალო დონეზე ჩაიარა და ვერ დააწინაურა ევროპული ფეხბურთის გამოკვეთილი, ძლიერი ლიდერები“.

სიმონსენის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ დანიელი ფეხბურთელი რეალურად აფასებდა იმ დროისთვის შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მან „ოქროს ბურთი“ შემთხვევით მოიპოვა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ სპორტსმენის ბიოგრაფიას.

ალან სიმონსენი დაიბადა 1952 წლის 15 დეკემბერს დანიის ქალაქ ვეილეში. ფეხბურთის თამაში ხუთი წლისამ დაიწყო „ვეილე ბოლდკლუბენის“ ბავშვთა გუნდში. შემდეგ გამოდიოდა მოზარდთა, ჭაბუკთა და ძირითად გუნდებში, სანამ ამ ტანმორჩილი (168 სმ), მაგრამ უაღრესად სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელით დაინტერესდებოდა დასავლეთ გერმანიის ბუნდესლიგის ერთ-ერთი წამყვანი კლუბის, მიონხენგლადბახის „ბორუსიის“ მწვრთნელი ჰენეს ვაისვაილერი. ეს მოხდა 1973 წელს. ზაფხულში 21 წლის ალანმა დატოვა სამშობლო და გფრ-ში გადავიდა. ბუნდესლიგა ყოველთვის იყო და დღესაც არის ერთ-ერთი უძლიერესი ლიგა ევროპაში. ბუნებრივია, ასეთ სოლიდურ კომპანიაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია მაღალი საფეხბურთო ოსტატობა. ალან სიმონსენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მალე არა მარტო ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი, გულშემატკივართა სიყვარული და სპეციალისტთა პატივისცემაც დაიმსახურა. სიმონსენი „ბორუსიაში“ 1979 წლამდე დარჩა. ამ ხნის მანძილზე მან დანიის 1972 წლის ჩემპიონის ოქროს მედალს შემატა გფრ-ის ჩემპიონის სამი მედალი (1975-1977), თავის კლუბთან ერთად ორჯერ გაიმარჯვა უეფა-ს თასის გათამაშებაში (1975, 1979) და ერთხელ ითამაშა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის

გათამაშების ფინალში. მაშინ, 1977 წლის 25 მაისს, რომში ერთმანეთს შეხვდნენ „ბორუსია“ და „ლივერპული“. შეხვედრის დაწყებამდე სპეციალისტთა უმრავლესობა უპირატესობას დასავლეთგერმანელებს ანიჭებდა, მაგრამ „ლივერპულმა“ საუცხოოდ ითამაშა და გაიმარჯვა — 3:1. მატჩის შემდეგ ალან სიმონსენმა, რომელმაც გაიტანა ის ერთადერთი გოლი ინგლისელთა კარში, განაცხადა: „მე არ შემიძლია ავხსნა, რა დაემართა ჩვენს გუნდს, რატომ ვერ დავამარცხეთ „ლივერპული“. იმ საღამოს ინგლისელებმა გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობების ასი პროცენტი, ჩვენ კი — ორმოცი...“

1979 წლის ზაფხულში სიმონსენმა დატოვა „ბორუსია“ და ევროპის უმდიდრეს კლუბში — ესპანეთის „ბარსელონაში“ გადავიდა. კატალონიელთა გუნდის შემადგენლობაში მან გაიმარჯვა ესპანეთის თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში, რის შემდეგაც (1982 წელი) ინგლისის მეორე ლიგის კლუბ „ჩარლტონ ათლეტიკაში“ დაიწყო თამაში. ეს ცნობა ფართო საზოგადოებრიობამ მიიღო, როგორც 30 წლის ფეხბურთელის კარიერის დასასრული. ეს აზრი კიდევ უფრო განმტკიცდა, როცა 1983 წელს სიმონსენი სამშობლოში დაბრუნდა და კვლავ მშობლიური კლუბის „ვეილე ბოლდკლუბენის“ ფორმა ჩაიცვა, მაგრამ თავად თურმე სულ სხვაგვარად ფიქრობდა: 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში იგი დანიის ნაკრების წამყვან მოთამაშედ მოგვევლინა; დანიელებმა კი მთელი ევროპა გააოცეს ლამაზი, შედეგიანი თამაშით და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის პირველ მატჩში დანიელები მასპინძლებს ფრანგ ფეხბურთელებს ხვდებოდნენ, ამ შეხვედრაში მეტოქე გუნდის მცველ ლე რუსთან შეჯახებისას სიმონსენმა ფეხი მოიტეხა და კარგა ხნით გამოვიდა მწყობრიდან.

სიმონსენმა კიდევ ერთხელ სცადა ნაკრებში დაბრუნება, მაგრამ ველარ შეძლო: მძიმე ტრავმამ და ასაკმა თავისი ქნა. თუმცა მწვრთნელმა ზეპ პიონტეკმა მისი გვარი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 22 კაცის სიაში შეიტანა, ვეტერანი მინდორზე აღარ გამოსულა. მან გადაწყვიტა გამომშვიდობებოდა ნაკრებს. 1986 წელს კოპენჰაგენში, დანიისა და დასავლეთ გერმანიის გუნდების შეხვედრისას, ალან სიმონსენი საზეიმოდ გააცილეს დიდი ფეხბურთიდან...

კალათბურთი

ევროპის ტურნირებზე

გაიმართა ევროპის კალათბურთელთა საკლუბო ტურნირების მორიგი მატჩები.

ჩემპიონთა თასი. კაუნასის „ჟალგირისისა“ და მილანის „ტრეისერის“ შეხვედრის შესახებ უკვე ვიუწყებოდით. ლიტველი კალათბურთელები შინ 15 ქულით დამარცხდნენ — 85:100.

სხვა ორი მატჩი ასეთი შედეგებით დამთავრდა: ზადარი“ (იუგოსლავია) — „რეალი“ (ესპანეთი) 107:83, „მაკაბი“ (ისრაელი) — „ელან ბირნე“ (ორტეზი, საფრანგეთი) 106:87.

კორაჩის თასი. ამ პოპულარული ტურნირის ფინალში საფრანგეთის „ლიმოჟი“ და ესპანეთის „ბარსელონა“ ითამაშებენ. ფრანგებმა განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრაში ესპანეთის კაი დაამარცხეს 104:91, „ბარსელონამ“ კი იტალიის „იუვენტუსი“ — 113:88.

* * *

ეკრანზე...

ცენტრალური ტელევიზია. 1 მარტი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (1); „სპორტლოტოს“ ტირაჟი — 10.15 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: ცსკა (მოსკოვი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) — 18.00 (2); ფიგურული ციგურაობის ოსტატები — 23.20 (1); საკალათბურთო მიმოხილვა — 0.35 (1).

2 მარტი. დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში: „დინამო“ (მოსკოვი) — „ენისეი“ 21.15 (2).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06794